



## შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

### დირექტორის ბრძანება



№ 00003684



13/08/2021

სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების და კოლეჯის ხარისხის მენეჯერის 2021 წლის 13 აგვისტოს N3683 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი  
დირექტორი  
სუხიშვილი რუსუდან



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესი

გორი  
2021 წელი

თავი I-ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში – კოლეჯი) დისტანციური სწავლების წარმართვის წესს, ასევე ადგენს დისტანციური სწავლების დროს მიღებული სწავლის შედეგების შეფასების წესსა და პირობებს, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების წინაპირობებს, ასევე პირების უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს დისტანციური სწავლების ხელშეწყობის პროცესში.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესის მიზნებისთვის ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ელექტრონული სწავლება – სწავლება ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით;
- ბ) სინქრონული სწავლება – დისტანციური სწავლების ფორმატი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა პროფესიული მასწავლებელი (შემდგომში - მასწავლებელი) და პროფესიული სტუდენტები (შემდგომში -სტუდენტი) მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხონ მათ;
- გ) ასინქრონული სწავლება – დისტანციური სწავლების ფორმატი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა პროფესიული მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტები მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ციფრულ რესურსებს, ან აუდიო და/ან ან/და ვიდეო ფაილებს, ან ტელეეთერს;
- დ) ჰიბრიდული სწავლება – დისტანციური სწავლების ფორმატი, დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაციით;
- ე) ციფრული რესურსები – პროფესიული სტუდენტის ასაკისა და განვითარების შესაბამისი სასწავლო რესურსები, რომლებიც შეიქმნა ელექტრონულად ან ანალოგური მასალების ციფრულფორმატში გადაყვანით;
- ვ) ელექტრონული პლატფორმა – ელექტრონულ-ციფრული სივრცე, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსები, ელექტრონული მართვის სისტემები, ონლაინსაკომუნიკაციო სისტემები და ა.შ.;
- ზ) საგანმანათლებლო პლატფორმა – პლატფორმა, სადაც განთავსებულია სასწავლო რესურსები, რომლებთან მუშაობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად;
- თ) ონლაინ საკომუნიკაციო სისტემა – სისტემა, რომელიც იძლევა დისტანციური თანამშრომლობისა და ონლაინ მეცადინეობების ჩატარების შესაძლებლობას;
- ი) დასწრებით სწავლება – სწავლების ტრადიციული ფორმა, როცა პროფესიული მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტები იმყოფებიან ერთ ფიზიკურ სივრცეში, მაგალითად, სასწავლო აუდიტორიაში, ან/და სახელოსნოში.

## **თავი II - დისტანციური სწავლების ფორმატი, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების წინაპირობები**

### **მუხლი 3. დისტანციური სწავლების ფორმატი**

1. კოლეჯში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმატის გამოყენებით:

- ა) სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- ბ) სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- გ) ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოდულების, კვფულებისა და განაყოფების მიხედვით;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დისტანციური სწავლების ფორმატს ირჩევს კოლეჯი.

3. კოლეჯი ვალდებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis.ge) ასახოს შესაბამისი დისტანციური სწავლების საათობრივი დატვირთვა.

4. კოლეჯის დირექტორი, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

5. კოლეჯი განაახლებს დასწრებით სწავლებას წინასწარ განსაზღვრული დისტანციური სწავლების ვადის ამოწურვის შემდეგ.

### თავი III - დისტანციური სასწავლო პროცესი

#### მუხლი 6. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება

- 1.სწავლის დაწყებამდე საგანმანათლებლო სასწავლო პროცესის მენეჯერი ონლაინ სწავლების დოკუმენტის საფუძველზე, წარმოდგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ სწავლის შედეგების ჩამონათვალ მოდულებს და სწავლის შედეგებს, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს ელექტრონული სწავლების ფორმატით;
2. სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველია სწავლის შედეგების ანალიზი, თუ რომელი სწავლის შედეგების ჩატარებაა შესაძლებელი დისტანციურად;
3. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი პირების ჩართულობით, რაც შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს;
- 4.ელექტრონული სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი;
5. სინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს კონკრეტული ჯგუფებისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სტუდენტის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
6. დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა არის 40 წთ;
7. გაკვეთილებს შორის უნდა იყოს 5/15 წუთიან შესვენება;
9. პროგრამების ჩამონათვალი, განმარტებული პერსონალისა და მათი საათობრივი დატვირთვის მითითებით, კოლეჯის ხარისხის მენეჯერის წარდგინებით ეგზავნება დირექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას პერსონალის საათობრივი დატვირთვის შესახებ;
10. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი პროფესიული სტუდენტი არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს;
11. კოლეჯი ვალდებულია, მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენოს იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის სივრცეში უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი მომსახურების მიწოდება;
12. დისტანციური სწავლების ნებისმიერი ფორმატის განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული მასწავლებლების და კოლეჯის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობა;
13. კოლეჯი ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესები, პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები;
- 14.კოლეჯში დაგეგმილი ექსტრაკურსული აქტივობები შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

#### მუხლი 7. დისტანციურ სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები

1. კოლეჯში დისტანციური სწავლების ნებისმიერი ფორმატის გამოყენების დროს მნიშვნელოვანია, პროფესიულმა მასწავლებლებმა დაგეგმონ სასწავლო პროცესი სასწავლო გეგმის/კალენდარული გეგმის შესაბამისად;
2. დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის დამხმარე ელექტრონული რესურსები და სხვა;
3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასება წარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესაბამისად.

#### მუხლი 8. სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა

1. კოლეჯი ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა;
2. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია დაადგინოს სტუდენტის მიერ დისტანციური გაკვეთილის გაცდენის მიზეზები, პრობლემის მოგვარებამდე მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართავად.
3. კოლეჯი ვალდებულია გამოყოს შესაბამისი სივრცე პროფესიული მასწავლებლისთვის დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად იმ შემთხვევაში თუ:
  - ა) მასწავლებელი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას;
  - ბ) მასწავლებელს არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი.

#### მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში

1. დისტანციური სწავლების დროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასება წარმოებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად;
2. მოდული, რომელიც არაა სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯში დასწრებითი სწავლებაზე დაბრუნების შემდეგ;

3. თუ მოდული, არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჩატარდება ან კოლეჯში, რისთვისაც კოლეჯი ვალდებულია გამოეყოს სივრცე, შეადგინოს გრაფიკი, რათა უსაფრთხოდ განხორციელდეს შეფასების პროცედურები, ან შეფასება ჩატარდება დისტანციურად;
4. შეფასების მტკიცებულების შეგროვება და უწყისის წარმოდგენა მოხდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ შესაბამისად.
5. პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული სწავლებისა და შეფასებების ელექტრონული აღრიცხვის მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მენეჯერი.

#### თავი IV - დისტანციური სწავლების მართვა

##### მუხლი 10. დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი

1. კოლეჯი ახორციელებს ღონისძიებებს დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის;
2. დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის განხორციელებული ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) დისტანციური გაკვეთილების დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით ჩატარების ზედამხედველობას;
  - ბ) დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტების დასწრების აღრიცხვაზე ზედამხედველობას;
  - გ) დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი სტუდენტების აღრიცხვას და მიზეზების კვლევას;
  - დ) ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

##### მუხლი 11. საჩივარი ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებით

1. ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებით ჩართულ მხარეებს უფლება აქვთ, საჩივრით მიმართონ კოლეჯის დირექტორს;
2. საჩივარი უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფორმით. კოლეჯის ოფიციალურ ელ.ფოსტაზე;
3. საჩივარი უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ პრეტენზიას;
4. საჩივარზე რეაგირებას, დირექტორის გადაწყვეტილებით, ახდენს კოლეჯის შესაბამისი თანამშრომელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში, საჩივარზე რეაგირების მიზნით, შესაძლებელია, შეიქმნას კომისია დირექტორის ბრძანებით.

##### მუხლი 12. პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის დროს

1. პროფესიულ განათლების მასწავლებელს აქვს უფლება:
  - ა) მოითხოვოს ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
  - ბ) მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ;
  - გ) მიიღოს დროული და კვალიფიციური კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
  - დ) ელექტრონული სწავლების უწყვეტად განხორციელების მიზნით მოითხოვოს კოლეჯისგან ელექტრონული სწავლების შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:
  - ა) შეასრულოს მისთვის დადგენილი დატვირთვა და შეუფერხებლად განახორციელოს სწავლება დისტანციურ ფორმატში, კალენდარული გეგმის შესაბამისად;
  - ბ) მისცეს პროფესიულ სტუდენტს ხარისხიანი განათლება, უხელმძღვანელოს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის პროცესში, გაუწიოს კონსულტაცია კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე დისტანციურ ფორმატში;
  - გ) მოდულის შესაბამისად განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;
  - დ) მოდულით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო მასალა განათავსოს ონლაინ ჯგუფში, სასწავლო კურსისთვის შექმნილ ვირტუალურ სივრცეში;
  - ე) მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს შეხვედრის ლინკი ონლაინ ჯგუფის გამოყენებით.
  - ვ) განახორციელოს zoom.us პლატფორმის გამოყენებით 40 წუთის განმავლობაში მეცადინეობის ჩატარება.
  - ზ) ონლაინ ჯგუფის მეშვეობით მიაწოდოს სასწავლო რესურსი.
  - თ) დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

##### მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს ჩართულობა დისტანციურ სასწავლო პროცესში;
  - ბ) ითანამშრომლოს კოლეჯთან და იზრუნოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის;

- გ) დროულად შეატყობინოს კოლეჯს დისტანციურ სასწავლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების, მათ შორის, კიბერბულინგის დაფიქსირების თანავე;
- დ) შეატყობინოს კოლეჯს დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების შესახებ და ითანამშრომლოს კოლეჯთან სირთულის დაძლევის გზის მოძებნაში;
- ე) პატივი სცეს პროფესიული განათლების მასწავლებლის შემოქმედებით და სამუშაო ონლაინ სივრცეს, დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- ვ) დაიცვას ონლაინ ქვეყის წესები და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტები;
- ზ) ისწავლოს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაზე დისტანციურად, ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით, შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის, დისტანციურად მიიღოს მონაწილეობა მეცადინეობებში და შეფასებებში.

**2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:**

- ა) მიიღოს კოლეჯის საგანმანათლებლო მომსახურება დისტანციურად ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით;
- ბ) მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია კოლეჯში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- გ) დროულად მიიღოს შესაბამისი ონლაინ ინსტრუქცია/გზამკვლევი და სხვა მასალები ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ, სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მიზნით;
- დ) მიიღოს დროული და კვალიფიციური კონსულტაცია ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- ე) ისარგებლოს კოლეჯის სტუდენტური სერვისებით დისტანციურად;
- ვ) ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსებით;
- ზ) სწავლება-სწავლის პროცესში წარმოქმნილი ისეთი სირთულეების შემთხვევაში, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია, მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

**მუხლი 14. დისტანციური სასწავლო პროცესის თანაბარი ხელმისაწვდომობა**

- 1. კოლეჯი ვალდებულია მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს დისტანციური სასწავლო პროცესის თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის;

**თავი V - დისტანციური სწავლების ხელშეწყობა**

**მუხლი 15. კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ვალდებულებები დისტანციური სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის**

- 1. კოლეჯის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს დისტანციური სასწავლო პროცესის დაგეგმვა კოლეჯის რესურსების, თითოეული პროფესიული სტუდენტის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- 2. სასწავლო პროცესის მენეჯერი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაკვეთილების ფორმისა და ხანგრძლივობის შესახებ;
- 3. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია კომუნიკაცია იქონიოს თითოეულ პროფესიულ სტუდენტთან, სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან. დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩასართავად რაიმე შეფერხების გამოვლენისთანავე მიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს და პარალელურად პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციით დასახოს გზები სტუდენტის მხარდასაჭერად;
- 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, კოლეჯის ინკლუზიურ განათლების სპეციალისტი, ვალდებული არიან მუდმივი კომუნიკაცია იქონიონ სტუდენტსა და მის კანონიერ წარმომადგენელთან. პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით უზრუნველყონ მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია გაუწიონ სსსმ სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს სტუდენტის მხარდაჭერისა და სახლის პირობებში სტუდენტის აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის;

**5. კოლეჯი ვალდებულია:**

- ა) უზრუნველყოს წინასწარ განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმების დანერგვის ტექნიკური მხარდაჭერა;
- ბ) სინქრონული სწავლების პროცესში გამოსაყენებელი პლატფორმების ტექნიკური ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

გ) ელექტრონული სწავლების პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით შესაბამისი აქტივობის დაგეგმვა განხორციელება;

დ) შესთავაზოს პროფესიული განათლების მასწავლებლებს საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერა: ვებინარები დისტანციური სწავლების მეთოდის, ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენების, დისტანციური სწავლებისას სტუდენტების შეფასების და სხვა მიმართულებით;

ე) უზრუნველყოს კოლეჯის IT მენეჯერის მზაობა დისტანციურ სასწავლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების, მათ შორის, კიბერბულინგის პრევენციისთვის;

ვ) პროფესიულ სტუდენტებთან დისტანციურად ჩაატაროს ძალადობისა და კიბერბულინგის თაობაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების დაფიქსირებისთანავე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) პროფესიულ სტუდენტებს და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს გააცნოს წინამდებარე წესი.

#### **მუხლი 16. ინტერნეტ-ეტიკეტი და პერსონალური მონაცემების დაცვა**

1. პროფესიული სტუდენტის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავებულ იქნას ელექტრონული სწავლების პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის;

2. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. ონლაინ-სწავლების ამსახველი სხვა მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს. მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ ჩართული პირების წინასწარი თანხმობით;

3. ჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის (მონიტორინგი, ხარისხის უზრუნველყოფა). დაუშვებელია ინტერნეტ-სივრცეში მისი გასაჯაროება ნებისმიერი ფორმით.

#### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 17.**

1. ელექტრონული სწავლების წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორი ბრძანებით;

2. ელექტრონული სწავლების წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.



## შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

### დირექტორის ბრძანება



№ 00000285



20/01/2022

**„სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს № 00003684 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელ წესში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა დისტანციური გაკვეთილებისა და შესვენებების პერიოდთან დაკავშირებით, რაც საჭიროებს ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების და კოლეჯის იურისტის 2022 წლის 19 იანვრის N 266 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს № 00003684 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა არის 50 წთ“.

ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გაკვეთილებს შორის უნდა იყოს 10 წუთიან შესვენება“.

გ) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) განახორციელოს zoom.us პლათფორმის გამოყენებით 50 წუთის განმავლობაში მეცადინეობის ჩატარება“.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



კერძო კოლეჯების ასოციაცია  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი  
დირექტორი  
სუხიშვილი რუსუდან

